საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ნ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.10.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №075/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 29 ოქტომბერს, ადვოკატ ლ. გ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ა.-მა. საჩივრის ავტორი დაესწრო 2021 წლის 01 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, რა დროსაც დაადასტურა წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. გ.-ს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია მისი ძმიშვილის - გ. ა.-ისათვის, რომელიც დააკავეს და წარმოადგენდა ბრალდებულს სისხლის სამართლის საქმეში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ლ. გ. დათანხმდა, რომ საადვოკატო მომსახურებას გაუწევდა მის ძმიშვილს. საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 3500 აშშ დოლარი, რაც სრულად გადაუხადა ადვოკატს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. გ.-ს არ სურდა საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა მისი არაერთი მოთხოვნის შემდეგ, ადვოკატმა გაუგზავნა მას წერილობითი ხელშეკრულების ასლი, რომელსაც საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა. ნ. ა.-ის განცხადებით, ადვოკატმა არ გაითვალისწინა მისი შენიშვნები და არ ასახა ისინი წერილობით ხელშეკრულებაში.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 19 მაისის სასამართლო პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე, ადვოკატი ესაუბრა გ. ა.-ს პენიტენციურ დაწესებულებაში და მოითხოვა ჰონორარის გაზრდა, რაზეც კლიენტი არ დაეთანხმა და უარი განაცხადა ლ. გ.-ის საადვოკატო მომსახურებაზე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არაკეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, კერძოდ, სულ ორჯერ შეხვდა პატიმარს და არ გამოცხადდა 2021 წლის 19 მაისის სასამართლო სხდომაზე, შესაბამისად, მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საფასური წარმოადგენს გამოუმუშავებელ ჰონორარს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოთხოვნის მიუხედავად, ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას გადახდილი ჰონორარის მიზნობრიობაზე და არც ხარჯთაღრიცხვა წარუდგენია კლიენტისათვის.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. გ.-ს მოსთხოვა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატი დათანხმდა და შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს თანხა ნაწილ-ნაწილ უნდა დაებრუნებინა. თუმცა, ადვოკატი ვალდებულების შესრულებას თავს არიდებდა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის აგვისტოს დასაწყისში, არარერთხელ მიმართვის შემდეგ, ადვოკატმა დაუბრუნა 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში, რაც 3100 ლარს შეადგენდა. დარჩენილი თანხა ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის არ დაუბრუნებია.

1.10 2022 წლის 01 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მას სურს გადახდილი ჰონორარიდან ადვოკატმა ლ. გ.-მ დაიტოვოს მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების პროპორციული თანხა და დანარჩენი დაუბრუნოს კლიენტს, რადგან მას სურს ადვოკატთან მორიგება და არა მისი დისციპლინირება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. გ.-მ 2022 წლის 08 თებერვალს ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატს ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

2.2 2022 წლის 08 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მხარეები საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეთანხმდნენ ზეპირად, თუმცა მოგვიანებით,

კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, გადაუგზავნა მას წერილობითი ხელშეკრულება. ადვოკატი არ უარყოფს ჰონორარის მიღების ფაქტს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, შეისწავლა საქმე, დასახა სამოქმედო სტრატეგია და ხშირად აკითხავდა კლიენტს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ადვოკატის განცხადებით, მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით და ამ დროს კლიენტს უკვე ჰყავდა ახალი ადვოკატი.

2.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან გასწია ხარჯი და დახარჯა გარკვეული რესურსი, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება კი არ ითვალისწინებს გადახდილი თანხის დაბრუნებას. ადვოკატის პოზიციით, კლიენტისათვის ჰონორარის დაბრუნება მის ვალდებულებას არ წარმოადგენს, თუმცა, კეთილი ნების შესაბამისად, შესაძლოა დაუბრუნოს მხარეს გადახდილი ჰონორარის ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1. ადვოკატი ლ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

4.2. ნ. ა.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

4.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ლ. გ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 2022 წლის 18 თებერვალს საჩივრის ავტორმა ნ. ა.-მა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მასსა და ადვოკატ ლ. გ.-ს შორის შედგა მორიგება, რის გამოც, სურს გაიხმოს საჩივარი და შეწყდეს ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება.

5.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ლ. გ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20

მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N075/21 შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება ადვოკატ ლ. გ.-ის /სიითი N/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/